№ 45. 14 (26) ნოემბერი 1870 14 (26) ნოემბერი № 45.

გაზეთის ფასი

| ...ისში და გა-...ადგილებში: გაგზავნით | გაუგზავნელათ: |
|---|---|
| ... წლისა — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ...ის წლისა — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| ...თვისა — 2 — 50 კ. | — — — 2 |
| ...თვისა — 1 — | — — — „ — 75 კ. |
| ... ერთის ნომრისა | — — — „ — 15 კ. |

...დაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება ... სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულე... ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით ... $1/2$ კაპ.

...ოება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქ-ქიშიევის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ლ. ლ ო ლ უ ა ხ თ ა ნ — პოლიციის ქუჩაზე, მელქონ პალიევის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.

**„დროების“ რედაქცია უმორჩილესად სთხოვს იმ ხელის—მომწერლებს, რომელთაც ჯერაც არ შემოუტანიათ ამ წლის გაზეთის ფული, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ.**

შინაარსი

უცხო ქვეყნები: საფრანგეთი. — ომის ამბები. — საქართველო: რა მოელის ამ გვარ ჩვენ ცხოვრებას? — „დროების“ კორრესპონდენციები: ქართლიდამ, — რაჭიდამ და პატარა კახეთიდამ. — საუბარი მკითხველთან (ნიკო ინაშვილის სიკვდილზე). — ნარევი. — განცხადებანი.

ფელეტონი: ბავშვების მოვლა მადაგასკარზე (ნ. სკანდელისა).

## უცხო ქვეყნები

### საფრანგეთი.

ერთი ინგლისელი კორრესპონდენტი აი რას იწერება ამჟამათ პარიჟიდგან. „კვირა, 4 (16) ოკტომბერს. ნაპოლეონის მთავრობა ქვეყანაზე ღვთისგან შერისხული მთავრობა იყო. მოხელე კაცები სულ უპატიოსნები იყვნენ, რომელნიც ჩუმათ ერთმანეთს ღალატობდნენ და ქვეყნის ცარცვაში კი ერთმანეთის თანამოზრე და ამხანაკები იყვნენ. იმის სასახლე ...რით როსკიპების, დაიცების და მაჭანკლების საბუნაგოთ შეიქნა. ფიცის გატეხით და ...ურობით მოპოვებული უფლება ამ კაცს ...ლი თვრამეტი წელიწადი ხელში ეჭირა ... რომ გამართა აეზაკების, ენამტანი...ა და მატყუარების სისტემა, რომელმაც ...რი წახსნა ყოველს გვარს ერის გარყვნილს და სამარცხვინო მოქმედებას. ერი ...რამდის ჩაეფლა ამ გარყვნილებაში, და კი... უფრო შეიყვარა ეს მთავრობა, რომელიც არ აკლებდა ამისთანა ცხოვრებას. იმის ...ფინვალე გამგეობას ქვეშ საფრანგეთის ...ლები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ, ვინ უფრო გადაამეტებს სიამოვნებაში და ზნის დამამცირებელს ცხოვრების სიტკბოებაშიო. ფრანცუზები კი თანდათან ჰკარგავდენ იმ სიმამაცეს, რომლითაც იყვნენ სახელგანთქმულნი. მართალია, იმდროსაც არ გამწყდარან თითო ოროლი პატიოსანნი თანამემამულენი, რომელნიც ხმამაღლა ჰკიცხავდენ უსინიდისოებით და საზიზღარი ბოროტებით ავსებულს საზოგადოებას; მაგრამ ვინ იყო გამგონი? იმათ დასცინოდენ, ჯარიმას ახდევინებდენ, ატუსაღებდენ და ბოლოს კიდეც განდევნიდენ სამშობლოდგან. რაც რამ იყო კარგი, კეთილშობილური და სულგრძელი ერის ცხოვრებაში თანდათან ჰქრებოდა ამ წამხდარს და მოწამლულს ჰაერში. კეთილ მოქმედებასა და ბოროტებას შუა გარჩევა აღარ იყო. სახელმწიფო კარის დედაკაცი დიაცის მეგობარი ჰხდებოდა, ცოლობა სიკეკლუცე და დარბაისლობა იმისგან ესწავლა. საუკეთესო მწერლები ენას ერის ზნეობის გასარყვნელათ ხმარობდენ. როდესაც წარმოადგენდენ ისეთს პიესას, სადაც თაყვანებით და ქებით შემკული იყო გარყვნილი ქალი, ან როცა აკტრისა მოიგონებდა უებარს საზოგადოების ზნის გამრყვნელს რასმე, ამ დღეს სწორეთ დღესასწაულობდენ. პარიჟი საქვეყნო ბაზრათ გადაიქცა, საცა ყოველს მხრიდგან გროვდებოდენ ყოვლად წამხდარი, უმაქნისი და გარყვნილი კაცები. საზოგადოებაში პატივის ცემის მოსაპოებლათ კაცი უსათუოდ უნდა გამდიდრებულიყო და ქალი იმპერატორის მომხრის მეგობრათ გამხდარიყო. ქაღალდის მოთამაშენი, გაიძვერა ქვეყნის მცარცველი მოვაჭრენი და სახელმწიფოს გამგენი ერთმანეთში მეგობრობდენ. როდესაც ყოველგან გულსაღს შრომას უსინიდისო ფანტეით და განზრახვით შეურაცხყოფდენ, არავის აზრში არ მოსდიოდა, ერთხელ მაინც ეკითხა: რა გზით შეუძენია იმ კაცს ამდენი სიმდიდრე?...

„ღირსება და პატიოსნება ყველას დავიწყებული ჰქონდა. აბა შეხედეთ, ახლა რა გამოვიდა აქედგან? — რასაც ახლა ეხედავთ საფრანგეთში, ყოველივე მოიტანა დესპოტობამ და იმედი მაქვს აღარ დაუწყებენ ქებას მხოლოდ იმ ერთი კაცის უფლებას, რომლის ხელმწიფობასაც უმსხვერპლეს მთელი საფრანგეთის ერის თავისუფლება. საფრანგეთის არმია მტერიუთ გაიბნა; იმპერატორს არცკი სცოდნია კვისრები როგორ ჰკვდებოდენ და სიკვდილს ტყვეობა არჩია; იმისი ყმანი სხვა ქვეყნებში გადიკარგენ, უღირსად სტკბებიან თავიანთ ნაცარცვით და ვერც კი ბედვენ ბრძოლას იმ ქვეყნისათვის, რომელიც გასცეს. ქეიფის მოყვარე ურდომ თავი გაასწრო; სულით და ხორცით უძლური მოქალაქეობა (bourgeois), დარბაისელ საზოგადოების უგუნურებით გამდიდრებული და თავის წინამძღოლებზე გულდაუნდობილი მუშა-ხალხი, აი პარიჟის მცველნი. ისინი გულგაუტეხელათ ტრაბახობენ, მწარეთ უჩივიან თავის მთავრობას, უხეიროს მამაცობას იჩენენ და აი, ამით უნდათ წინააღუდგენ მშვენიერი სამხედრო წესით გამოწყობილს გერმანიის რაზმებს, რომელნიც დღითი დღე უფრო უჭერენ რკინის რგოლს ახლანდელი განათლების ამაყს დედა-ქალაქს. მაგრამ რაც უნდა ძლიერ დაცემულიყოს პარიჟელების გულში თავის ღირსების გრძნობა, გარწმუნებთ, ისინი იმდენათ მაინც არ დამდაბლდებიან, რომ თავისი დამლუპველი კაცი, დეკემბრის და სედანის „გმირი“, ისევ მიიღონ. შექსპირის ერთს კომედიაში გამოყვანილია მშვენიერი ფერიების მეფა, რომელიც სიზმარში შეიყვარებს უმგზავსო ხამოსლის მკეთებელს და ვინ იცის რა მშვენიერებით არ ამკობს თავის აზრში ამ არხაპირას, მაგრამ როდესაც გამოეღვიძება და გონებას ეხება, მაშინვე გააგდებს იქით და ეუბნება: ოჰ, რა საზიზღარი დასანახავი ხარო! სწორეთ ასეა ეხლა ნაპოლეონისა და პარიჟის საქმე.

— გაზეთებში დაწვრილებით არის აწერილი იმ არეულობის ამბავი, რომელიც მოხდა 31 ოქტომბერს პარიჟში, როდესაც თითქმის ყველა მწევრები დროებითი მმართებლობისა რამდენიმე საათის განმავალობაში დატუსაღებულები იყვნენ. სამი გარემოება ყოფილა პარიჟის არეულობის მიზეზი: ერთი ის, რომ ფრანცუზებს წაართვეს ხელმეორეთ სოფელი ბურჟე, რომლიდგან პარიჟს შეეძლო გზა გაეხსნა ჩრდილოეთის პროვინციებისაკენ; მეორე ის, რომ იმდღეს მოვიდა პარიჟში ნამდვილი ამბავი ნემცებისაგან მეცის აღებისა და მესამე მიზეზიც არეულობის ის იყო, რომ ტიერი მოვიდა პარიჟში და ამბობდენ, ვითომც, ნეიტრალური სახელმწიფოების წინადადებით, დროებით მმართებლობას მორიგება მოენდომებოდეს ნემცებთან. დილიდგანვე აუარებელი ხალხი და დაიარაღებული ნაციონალური გვარდიელები იკრიბებოდნენ რატუშის წინა და საშინელი ხმაურობა იყო. ისინი თხოულობდენ, რომ არას გზით მორიგება არ მომხდარიყო და განწესებულიყო ახალი მართებლობა—კომუნა. ხალხის გროვაში ალაგ—ალაგ ჩნდნენ დროშები, რომელზედაც შემდეგი სიტყვები იყო დაწერილი: „არგვინდა მორიგება. ან უნდა მოვკვდეთ და ან უნდა წინააღმდეგობა გაუწიოთ პრუსიელებსა!“ სამ საათზე ხალხი შეცვივდა რატუშაში, სადაც იმდროს მმართებლობის წევრები ისხდნენ და დაატუსაღა ისინი. ამდროსვე არეულობის მოთავეებმა გამოაცხადეს ახალი მმართებლობის პირების სახელები, რომელთ რიცხვში იყვნენ: ლედრიუ-როლენი, ვ. ჰიუგო, ფელიქს პია, მოტიუ (მერი, რომელმანც ყველგან ჩამოახ-

## ფელეტონი

### ბავშვების მოვლა მადაგასკარზე

(ფანტაზია)

...ოს მეორე ლექცია:—„ბავშვების სხეულის გაწვრთნაზე.“

„მოწყალენო ხელმწიფენო და ქალბატონებო!

„ყოვლად-ბედნიერ და ყოვლად-განათლე... რომაელებს ერთი უცხო და ჭეშმარიტი ...ზა ჰქონდათ: „mens sana in corporae sano“. ...ამ, რადგანაც თქვენ თქვენ შვილებსა... ბედნიერი არ ყოფილხართ, და თქვენი ...ცხლის უმჯობესი, ახალგაზდა წელიწა... ლათინური ენის სწავლისათვის არ შე...რავთ, მე ეს უცხო ანდაზა ჩვენებურათ ...და გადმოგითარგმნოთ. ის ნიშნავს: „მრთელი გონება მხოლოდ მრთელ სხეულში იპოვება“.

„ახლანდელი ევროპიელების ბარბაროსობა და წინ დაუხედველობამ იქამდი მიაწია, ...ამ ჩინებულ და ჭეშმარიტ ანდაზას ისინი თავიანთებურათ, ჩვენდა საწინააღმდეგოთ ხმარობენ. იმათი აზრით, კაცი თუ ტანის სიმრთელით ტალს ედარება, თუ ღონიერი, ჯაფის ამტანი და მსწრაფია, თუ მისი პირისახე „ჟინჟღლიებით“ ანთებულია,—ეს ნიშნავს, რომ მისი სხეული „მრთელია!“ უგნურობა ამაზე მეტი იქნება?... უბედურებს ის კი არ ესმისთ, რომ ამ ნაირათ გლეხიც კი იქნება „მრთელი“, და მარტო მუშაკს, გლეხს მოუხდება მაგ მონას გვარი ტანის სიმრთელე.

ჩვენებურ, ესე იგი არისტოკრატიულ, დიდკაცურ საზოგადოებაში, ჩვენ როდი გვჭირია ვარდის ფერი პირისსახე და ნალის-მტვრეველი თითები. ჩვენს სიმრთელეს—ნაზი სხეული, მთვარის სხივის ფერი პირის სახე, ნაზი აგებულობა და მიხვრა-მოხვრა შეადგენს. მაღალი, არისტოკრატიული საზოგადოებისთვის მხოლოდ ამ ღირსებებში მდგომარეობს ნამდვილი მშვენიერება და ნამდვილი ტანისსიმრთელე. და თუ ევროპიელები ჩვენ სინაზეს „წელმოწყვეტილებას“ ეძახიან და ჩვენი მშვენიერი ფერმკრთალობა იმათ ჰლერქის ნიშნათ მიაჩნიათ, ეს—როგორც წელან ვთქვი—მათი უგნურობის და ბარბაროსობის აშკარა ნიშანია.

‡

„მაშასადამე, მოწყალენო ხელმწიფენო და ქალბატონებო, ჩვენი ყმაწვილების სხეულიც ჩვენ ხელში ისეთ რიგათ უნდა გაიწვრთნოს, რომ ყმაწვილი ნაზი აგებულების და ნარნარი სიმრთელის იყოს.

„ამ მიზნის მისაწევათ, აი როგორ უნდა მოქმედებდეს ყმაწვილის დედმამა და აღმზრდელი.

‡

„დაიბადება ბავშვი თუ არა, ბებიამ პირველათ თავში ხელი უნდა წაავლოს და კარგა მაგრა მოუჭიროს.—ამას შემდეგ ბავშვს თავზე კვარახჩინი უნდა მოეჭიროს—რაც შეიძლება მაგრა—და თვითონ ბავშვი არტაშნებით აკვანში უნდა ჩაიკრას, ისე რომ არამც და არამც განძრევის ღონე და სალავათი არ ჰქონდეს. და ამ ნაირათ ხელ-ფეხ-შეკრული და თავ-შეხვეული ბავშვი დილიდგან საღამომდი და საღამოდან დილამდი უნდა გაუჩერებლად არწიოთ.

„ერთ ფრანცუზს, რომელიც ჩვენებური ყმაწვილის აღზრდას დაკვირვებოდა, ჩვენ ქალაქში აშკარათ ლაპარაკი დაეწყო, რომ თავის შეკვრა და ბავშვის შეკოჭვა მის ტვინსაც ავნებს და გვამსაცო. ის ამტკიცებდა თურმე, რომ ბავშვის ნიადაგ რწევა მის ტვინს ანჯღრევს და ათხელებსო, და მისი ფილტვი და საზოგადოთ გულ-მკერდი ძლიერ ბრკოლდება აკვანში ჩაკრული წოლითო.

„მაგრამ, ერთი მიბრძანეთ, თუ ის ფრანცუზი კაი კაცია, იმას რა გული უკვდება, კარგათ აიზდება ჩვენი ბავშვები თუ ცუდათ?—მე რომ მკითხოთ, ფეხებზედაც კი მკიდია მათი ბავშვები და დედ-მამებიც! მე ამ საგანზე მხოლოდ მისთვის ვჯჯი და ვლაპარაკობ, რომ წაბრძანებები მაქვს და ჯამაგირს ვიღებ.—ფრანცუზის მხრით კი ეს იმას გავს, რომ იტყვიან, „არა მკითხე მოამბეო მიბრიგე, და მიაგდეო!“ მაშასადამე, იმ ფრანცუზის შენიშვნა ყურადღებაში მისაღები არ არის, ამიტომ რომ მისი აზრის გამოსათქმელათ მთავრობას მისთვის არც ნება მიუცია, არც ჯამაგირი...

‡

სნეეინა ჯვარცმის ხატი), დორიანი, დელკლიუზი, ბლანკი, ფლურანსი და სხვ. საღამოს რვა საათზე ჟულ—ფერრი ერთი გვარდიის როტით დაეცა რატუშას და გაათავისუფლა ტროშუ და ზოგიც სხვა მმართებლობის პირები. ამ არეულობის შემდეგ ჟულ—ფავრმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც ამბობს, რომ, სანამ ამორჩევები არ იქნება და ხალხი ახალ მმართებლობას არ ამოირჩევს, მანამ ახლანდელი მმართებლობა არაფის არ დაუთმობს უფლებასო. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ პარიჟში კენჭის ყრა იყო იმ თაობაზე, კმაყოფილი ხართ, თუ არა ახლანდელის მმართებლობისაო; ამ კენჭის ყრის დროს 500,000 ხმის მიმცემში თითქმის 450,000 გამოაცხადეს სრული კმაყოფილება ახლანდელი მმართებლობისა და დანარჩენმა მეათედმა კი—არა.—ქენჭის ყრის შემდეგ ჟულ—ფავრმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც სხვათა შორის ამბობს: “ჩვენ ძალიან კარგათ ვგრძნობთ იმ ვალდებულებაებს, რომელნიც თქვენ მოგვანდეთ. უპირველესი ამ ვალდებულებთაგანი მამულის დაცვა არის; ეს იყო აქამომდე და შემდეგშიც ეს იქნება ჩვენ განსაკუთრებით მიზნათ.“

— 4 ნოემბერს ღენერალ ტროშუს უთქვამს შემდეგი სიტყვა იმის სახლის წინ თავ მოყრილი ნაციონალური გვარდიელებისათვის: „ჩვენი დაცვა მხოლოთ რესპუბლიკას შეუძლია: ის თუ მოისპო, ჩვენ ყველანიც იმასთან ერთად დავიღუპებით!„ ნაციონალური გვარდია ამ სიტყვებს აღტაცებაში მოუყვანია.

— ლიონის მუნიციპალიტეტის რჩევამ გამოსცა შემდეგი პროკლამაცია: “ქალაქი ლიონი თავის ნამგრევებში დაიმარხება და მტერს კი არას დროს არ დაემორჩილება. ქალაქიდამ გასვლის ნება მხოლოდ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებულებს აქვთ. ვინც ზურგს უჩვენებს მტერსა, ის მამულის მოღალატე იქნება, იმის სახელი სასირცხვილოთ იქნება გამოცხადებული. ლიონის მერი—ე ნ ო ნ ი.

# ომის ამბები

— გაზეთის „დეილი-ნევს“-ის კორესპონდენტი იწერება, რომ ნემეწცები ძალიან ემზადებიანო პარიჟის ყუმბარებით ცეცხლის მიცემას; პირველად ყუმბარები ფორტებს უნდა დაუშინონო და მერეთ თავათ ქალაქს. ერთი ინგლისის გაზეთის სიტყვით, აი რა ზარალი მიეცემა პარიჟს ამ ყუმბარების დაშენით: დაეკარგვის იმ სახლების ფასი, რომელიც 3,850 მილიონ ფრანკს შეადგენს, ბევრ გვარი ამ სახლებში მყოფი ნივთები 1,925 მ. ფრა., და ბოლოს—1,925 მ. ფრანკს იმ საქონლის ფასს, რომლებიც მაგაზინებში იმყოფებიან,—სულ გამოდის 7,700 მილ. ფრანკ, რომ მუზეუმების, ბიბლიოტეკების და სხვა ბევრი ამ გვარების ფასიც რომ არ ვიანგარიშოთ.—

— როგორც ერთს გაზეთში სწერენ, ამერიკელები, რომლებსაც პარიჟი მიუტოვებიათ, ამტკიცებენო პარიჟის ხალხის თავგაწირულობას და, სინამდვილის იმათგან შესაძლო იქნება, ქალაქის დაცვისათვის მონდომილება. ამ გაზეთისვე სიტყვით, ამერიკელებს იმიტომ მიუტოვებიათ პარიჟი, რომ დაჯერებული არიანო რომ იმას ამ ცოტა ხანში ნემეწცები ყუმბარებს დაუშენენო. თუმც ნემეწცების გაზეთები ძალიან ადიდებენო თავიანთ ყუმბარების ძალას, მაგრამ ზოგიერთებმა, როგორც ხუთ ფუთიანმა მორტირის ზარბაზანმა, ძალიან უნდა გაუჭიროთ საქმეო. კორრესპონდენტი იმასაც კი ამბობს, რომ ზოგიერთი პარიჟის ფორტებიც ძალიან გაუჭირვებთ ნემეწცების ბატარეიებს საქმეს, როდესაც ისინი ყუმბარების დაშენას დაუწყებენ. ფრანცუზები ძალიან ადიდებენო სიმაგრეებს და ახალსაც აშენებენო ვილჟუიფში, შარანტონში და ვენსენში. მონ-ვალერიანის დასავლეთის მხრისკენ სიჩქარით შენდება ძალუმი ბატარეია, რომლის დანიშნულება ის არის, რომ ნემეწცების სიმაგრეებს, რომლებიც სან-კლუს ახლო არისო, მოსვენება არ მისცესო, და რომ დაუშალოს ხიდების გაყვანა სენაზე რიუელთან.

— როგორც ჰაერის ფოჩტით მიღებულ ბარათებიდან და გაზეთებიდან სჩანს, პარიჟში შიმშილი ჯერ არ უგვრძნიათ. პური კიდევ დიდხანს იკმარებსო. ხვადაგი, თუმც ბევრი არ არისო, მაგრამ რაც ხარი და ცხვარია ორმოცი დღე კიდევ ეყოფათო. ამას გარდა ცხენის და ვირის ხორციც უნდა მივილოთ სახეში, რომლებსაც ამ გასაჭირში ძალიან კარგათ იყენებენ. ამავებთან ღვინოც საკმაო არისო.

— ერთს გაზეთში დაბეჭდილია ორი ბარათი იმ კორრესპონდენტებისა, რომლებიც გარიბალდის ბანაკში არიან გაგზავნილი. ამ ბარათებიდან სჩანს ერთი, რომ გარიბალდის თავის უმთავრესი სადგომი გადუტანია ამანჟიდან დოლში, და მეორე, რომ მისს შტაბის უფროსს პოლკოვნიკს ბორდონს დაუთმია თავისი ადგილი იტალიიდან, 30-ს ოქტომბრისას მოსულს, პოლკოვნიკს ფრაპპოლისათვის.—გარიბალდის უმთავრეს სადგომში ძალიან კმაყოფილი არიან, რომ გენერალ კომბრიელის მაგიერ რომელიც ბეზანსონის არმიის უფროსი იყო, დანიშნეს გენერალი მიშელი; კამბრიელი და გარიბალდი ვერ მოთავსდენ ერთათ; მაგრამ, არამც თუ მარტო კამბრიელთან, სხვა გენერლებთანაც, ვერ მოთავსდა ის.—აი რას სწერს ამ საქმეზედ ერთი იმ კორესპონდენტთაგანი: „ფრანცუზების გენერლები ამბობენ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიაო გარიბალდის დახმარება და ამისათვის უსაქმოთ ვრჩებითო; ასე რომ გარიბალდი, რომელიც დანიშნულია მთელი ვოგეზის არმიის სარდლათ, დაბანაკებულა ერთ მოშორებულ საფრანგეთის ადგილზე, მცირედის, გლახა დაიარაღებულ და მსუბუქათ ჩაცმულ ჯარით. შეპირებული არტილერია ჯერ არ მოსულა და მისს თანაშემწეებს მგონი მიზნათ დაუდვიათ უწინააღმდეგონ ყველა მისს განკარგულებაებს. გარიბალდის სამჯელ მოუნდომებია თავის თანამდებობის მიტოვება. მე შევიტყე მისი შტაბის აფიცრებიდგან, რომ უკანასკნელ ხანებში გარიბალდი არაფის არ ეკარება თურმე. აქედან, ვინც იმას კარგათ იცნობს, გამოჰყავთ, რომ ის რამე საკვირველი საქმის მოხდენას უნდა ფიქრობდეს!“ უკანასკნელ ბარათში, რომელიც დიჟონის აღების შემდეგ იყო მიღებული, კორრესპონდენტი იწერება, რომ უეჭველია ნემეწცები შეავსებენო თავის მარცხენა არმიას, რომელიც გარიბალდის საომრათ არის გაგზავნილიო და სერსკის ტყეში დამზადებულიო.—გარიბალდის ხელ-ქვეით არის ეხლა 8,000 სალდათი და ახალი მოგროვილი ვოლონტერები.—მოძრავი გვარდია დაიარაღებულია ძველი თოფებით, მაგრამ ვოლონტერები, რომლებიც ბევრი არიან—შასპოს თოფებით. საკუთრათ გარიბალდიელები გარიბალდის ჯარში ძალიან ცოტაა, რადგანაც იტალიის მთავრობა საზღვარს გარეთ არ უშვებს ვოლონტერებს, თუმც დოლში კი შეიკრიბენ ვოლონტერები 500 კაცი, რომელსაც სახელად „ალპიის მსროლელები“ ჰქვია; იმათ ნაცრის ფერი მუნდირი აცვიათ ყვითელი საყელოთი. ეს ვოლონტერები დაიარაღებული არ არიან ჯერ. იქ არის კიდევ ესპანიის ვოლონტერების ლეგიონი, მაგრამ იმათ, არა თუ იარაღი, ჯერ ცხენებიც არა ყავთ.

# საქართველო

## რა მოელის ამ გვარ ჩვენ ცხოვრებას?

შესანიშნავი შემთხვევაა ჩვენს ცხოვრებაში ყმების განთავისუფლება. ამ დროიდამ მოელო ბოლო ოფიციალურად ჩვენს ქვეყანაში მონებასა. ამ შესანიშნავ შემთხვევამ მოატრიალა ჩვენი ცხოვრების ჩარხი და მისცა მის ბრუნვას სულ სხვანაირი მიმართულება.

უეჭველია, რომ ყველანი ხედავენ ამ ცხოვრების ჩარხის მობრუნებას, მაგრამ ხედავენ თუ არა ყველანი მას, თუ სად მიჰყავს ჩვენი ცხოვრება ამ მოტრიალებულ ჩარხს? ღმერთმა იცის.

უმაღლესის მართებლობის ბრძანებით, ჩ... ში განთავისუფლდნენ გლეხები ამ კანო... ძალით: შემდეგ ორის წლისა გამოცხადები... გლეხები მოშორდნენ მებატონეებს; მათ... ეცათ რამოდენიმე ქცევა მიწა თავის სარ... ნათ, დანარჩენი კი ხვდა მებატონეს.

ცხადი საქმეა, რო მებატონეს და გლეხსა ა... გზით არ შეეძლოთ გამოსვლა ერთმან... დამოკიდებულობიდამ. ეს დამოკიდებულ... გლეხსა და ბატონშუა უფრო და უფრო უ... გაძლიერდეს დროს განმავლობით.

ის მიწა, რომელიც ხვდა გლეხს წილ... აძლევს მას თავის სარჩოს რამოდენიმე წე... მაგრამ ბოლოს ის (მიწა), როგორც ყოვე... ნივთი, იხეხება, ცვდება ბევრის და უხეირ... ხმარებისაგან. გლეხმა, რომელმაც არ ი... მიწის გონივრულათ მოვლა და ხმარება, შ... დეგ რამოდენიმე წლისა, უნდა მიუბრუნ... მებატონეს და გამოართვას მას ახალი მ... თავის სარჩენათ; ამ შემთხვევაში, რასაკვირ... ლია, მებატონე აძლევს გლეხს ისეთს მი... რომელიც მებატონესთვის უფრო გამოსა... გია,—მაშასადამე გლეხისათვის უარესი. ც... დია, რომ ამნაირი გარემოება ხეირს არ ... აყრის მიწის მქირავებელს, მაგრამ ეს ... მიწის მეპატრონესთვის იქნება სახეიროა: მ... ასეთი უხეირო დამუშავებისაგან, როგო... ჩვენში იციან, ბოლოს იქცევა უნამყოფო... ლად; მაშინ მიწის პატრონი, რასაკვირველ... „სულ უქონლობას, ცალ ულელს ხარს“ არჩ... და მისყიდის თავის მიწას რომელსამე გარე... კაცს, რომელმაც რიგიანათ იცის მიწის მ... მარება და მისი დაკარგული ძალის მობ... ნება. ეს ახალი მიწის პატრონი თავისი მე... დინეობით და ცოდნით მოუბრუნებს მ... დაკარგულ ღონეს და ერთის წლის გა... ვლობაში ამოიგებს თავის ნახარჯს მ... გააშენებს სახლებს, ბაღებს, ვენახს და სხ... დაუწყებს მიყიდვას უწინდელ მეპატრონეს ... ვისი უწინდელი მიწის ნამყოფს და შემ... ლევს იმ ფულებსაც, რომელიც იმან აი... მამულში. . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

იქნება ვინმე მკითხოს: “რატომ ამდენ... არ მოხთა ასეთი საქმე ჩვენს ქვეყანაში...

როგორც ზემოთ ვსთქვით, გლეხების ... თავისუბლების შემდეგ ჩვენმა ცხოვრებამ... ილო სულ სხვა ნაირი მიმართულება; მაშ... დამე ჩვენ უნდა გაეჩხრიკოთ უფრო ახ... ის, თუ როგორ სარგებლობდნენ უწინ მი... მებატონეები.

უწინდელ დროში მებატონემ კიდევაც ...

---

„რასაკვირველია, რომ აკვანში მყოფი ბავშვი დღე და ღამე კარდაკეტილ ოთახში უნდა იყოლიოს კაცმა. ჰაერში ყოფნა კეთილშობილი კაცის საქმე როდია,—კეთილშობილი კაცი მუდამ სასახლეში უნდა ბრძანდებოდეს, და თუ სასახლე არა აქვს, სახლში მაინც. აქედან ჩვენ ის კანონიც უნდა გამოიყვანოთ, რომ აკვანსაც მოცილებული ბავშვი მუდამ უფროსის თვალ წინ ოთახში უნდა იმყოფებოდეს.

+

„რაკი ყმაწვილი შვიდი ან რვა წლის შეიქნეს, ის მაშინვე ან შკოლაში უნდა გაგზავნოს კაცმა, ანა და შინვე სწავლა დააწყებინოს. უნდა იცოდეთ, რომ სწავლა სხვა და სხვა ნაირია,—მაგრამ ამ საგანზე ჩვენ სხომისაც გვექნება საუბარი. ეხლა კი ის უნდა გითხრათ, რომ დედ-მამა მუდამ იმას უნდა მეცადინეობდეს, რომ ბავშვი ნიადაგ წიგნს უჯდეს. შკოლაში, ხომ უეჭველათ საჭიროა, რომ ბავშვი გათენებიდან დაბინდებამდი, სასწავლებელ ოთახში, თავდახრილი წიგნს კითხულობდეს. თუმც ევროპიელები ამბობენ, ვითომც ამ ნაირი ჯდომა ბავშს თავის და ზურგის ტვინს უხმობს და სხეულს ასნეულებსო, თუმც ისინი კაი ხანია ამტკიცებენ, რომ ბავშვის გონების გახსნისათანავე, კაცმა მის სხეულსაც უნდა უგდოს ყურიო, თუმც მათი ანგარიშით, სასწავლებლებიდან ათ ყმაწვილში ორიც ძლივს გამოდის ტანმრთელი და უვნებელი,—მაგრამ ჩვენ ყური როდი უნდა ვათხოვოთ ევროპიელების სიტყვას: ჩვენი წინაპარები ჩვენ არც ჭკუაში ჩამოგვივარდებოდენ, არც გონებაში. და ჩვენ აბა რა სიმართლე გვაქვს მათი დაარსებული წესი ევროპიელების მიბაძვით შევცვალოთ!....

+

„ტვინი უხმება, უდნება, უხდებაო“.—თუნდაც რომ მართლა უხმებოდეს ბავშვს ტვინი, მერმე რა? მე თქვენ მოგახსენებთ, მაშინვე ქვეყანა დაიქცევა, რასაკვირველია! რა საჭიროა ტვინი ბავშვისთვის? სანამ ის ოჯახშია,—ყურის მგდებლათ იმას დედ-მამა ჰყავს; სასწავლებელში, მის მაგიერ მისი მასწავლებელი ზრუნავს და რაკი ის ცხოვრებაში ფეხს შეადგავს, მის მზრუნველათ და მოშველელათ მთავრობა და უფროსები ხდებიან. მაშ ცხადია, რომ ბავშვისთვის ტვინი და ჭკუა სრულიად უსარგებლო, ნამეტანი და დამამძიმებელი საქონელია და მისი დაკლება სრულიადაც არ უნდა აწუხებდეს ბავშვების დედ-მამებსა და აღმზრდელს.

+

„ამ გვარივე აზრის უნდა ვიყოთ ჩვენ ბავშვების სხეულის დაბრკოლებაზედაც გადაჭარბებულათ ოთახში ჯდომისაგან. შენიშნულია, რომ ვინც მოსვენებულათ ნიადაგ ოთახში ზის, და მხოლოდ სწავლაში და აზრშია გართული, იმას პირზე სწორეთ ჩვენი მოსაწონარი ნარნარი ფერი ეკრება და სხეულიც არისტოკრატულათ უნაზდება. მართალია, ავათმყოფობა მის ხშირ სტუმრათ ხდება და ყოველგვარი ჯაფა და შრომა მისთვის ჭირზე უარესია; მაგრამ ეს გარემოება ჩვენ სიკეთეთ უნდა ჩავრიცხოთ: ნამეტნათ ტანმრთელი კაცის გულში ამპარტავნება ინერგება; იმას თავი ისე მაღლა მოაქვს, რომ არა თუ თანასწორი, მაგრამ უფროსებიც და თვით ღმერთიც არაფრათ მიაჩნია. და ამის გამო მეტის მეტათ საჭიროა, რომ სხეულის უძლუ... კაცს ხანდისხან მის ამაოებას და სიმცირე... სენებდეს და მის გულში ღვთისა და კ... მორიდებას, შიშს და კადნიერებას სთეს...

+

„ერთი სიტყვით, ჩვენ არ უნდა ვივი... დეთ, რომ ბავშვების მოვლაში პირველი... გილი მუდამ „ზნეობით“ აღზრდას უნდა ... ვოს. ჩვენ ამერიკელებს როდი უნდა ვბა... დეთ, რომელნიც ყმაწვილის სწავლასთან ... ღონის და სიმრთელის შემატებაზე ზრუნ... ჩვენი ყურადღება სწავლაზე უნდა იყოს ... ცეული, და ყმაწვილი ოც წლამდი ჩვენ ... ლოდ წიგნებს უნდა მიუჯინოთ; ტანის ... რთელის მოპოვებას ის მერმეც მოესწრება... თუ—საუბედუროთ—ოცი წლის წელ-მო... ლი სწავლა ზოგიერთ ყმაწვილს სამუდა... აჭლერქებს, აუძლურებს და გონებას ართმ... ჩვენ ეს ღვთის განგებას უნდა მივაწე... და ჩვეულებრივი მოწიწებით უნდა დავე... ჩილოთ ზეციერ ნებას...

ნ. სკანდელ...

...და ნამდვილი სამზღვარი თავისი ადგილე-...ს; მას დღეს აქ მოჰყავდა მოსავალი თავისი ...ების ოფლით, ხვალ იქ და ხვალზევით ...გან, და ამ გვარად იცვლიდა სამუშაო ...ლებს ყოველ წელს, სანამ ვისმეს არ წაა-...ებოდა თავზე.

...მოუჩნდებოდა თუ არა წინააღმდეგი ად-...ზე, გაისვამდა ხმალზე ხელს და, თუ გა-...ენიდა იქიდამ მტერს, თვითონ დადგე-...მაზე და დაიწყებდა მუშაობას.

...ამ ნაირად თითქმის ყოველ წელს იცვლი-...მებატონე, თავისი გლეხებით თურთ, ყა-...ადგილებს.

...საკვირველია, რომ მიწა ერთის წლის მუ-...საგან ბევრად არ ღარიბდებოდა და თუ ...ებოდა, მაინც ქონდა იმდენი თა-...ვისუფალი დრო, რომ შეეძლო შეეძინა და-...კარგული ღონე; აი რისაგამო ძველად მიწა ...ფუჭდებოდა არც ჩქარა, როგორც ახლა ...მაშასადამე არც ისეთი რამ მოხდებოდა, ...რაც ზევით ვთქვით.

...თუმც ბევრს ადგილებში მიწები ასეთი უ-...რო მუშაობისაგამო კიდევაც კარგვიდნენ ...ყიერებას, მაგრამ იქიდამ კაცი არ ესახლე-...და სხვაგან, რადგანაც გლეხები იყვნენ ...უთრება მებატონებისა; მებატონებს ფეხებზე ...ათ მათი საქმე; ოღონც გლეხს მოეტანა ...თვის სარჩენი პური და ღვინო, სხვა რისი ...არი ქონდათ.

...თი მომავალისაგან ხალხს იხსნის მხო-...ლოდ სწავლა, რომლის შემწეობით მას შეუ-...ძლია მოხმარება თავისი სამშობლოს სიმდიდ-...რეს. ყველაზე უფრო საჭიროა ხალხისათვის, ...რომ მან იცოდეს იმ წყაროების მოხმარება, ...რომლიდგანაც შეუძლია თავისი დარჩენა; ეს ...წყაროები არიან მის სამშობლოს ბუნებაში, ...ე. მიწაში, წყალში, ტყეებში და სხვებში.

...მაგრამ ბუნების სიმდიდრით სარგებლობი-...სათვის საჭიროა მისი კანონების ცოდნა, ე. ...სწავლა; უამისოთ შეიძლება მშვენიერ ბუ-...ნებაში მყოფი ხალხი შიმშილით ამოწყდეს. ...ბუნების კანონების უმეცარი ხალხი ჰგავს იმ ..., რომელიც კვდება შიმშილით და იცის, ...დაკეტილში არის საჭმელი, მაგრამ არ ...როგორ გაალოს.

...ამის გამო, ცხადია, რომ ხალხის განათლე-...ბა უნდა იყოს მიწოლილი ამ მხარეს ...და სხვას რასმე. განსაკუთრებით ჩვენს ...ხალხს ეჭირება ასეთი განათლება, რადგანაც ...ცხოვრების ჩარხი მოტრიალებულა ისე, ...რომ მის ტრიალს ვერ გაუძლებს ჩვენებური ...ძველებური ცხოვრება. ჩვენშიაც, ეტყობათ, ...გრძნობიათ ასეთი ჩარხის მოტრიალება და მიმ-...ხვდარან სწავლის საჭიროებას. ამისთვის აშე-...ნებენ შკოლებს სოფლებში. ამ შკოლებ-...ში ასწავლიან წერას, კითხვას და ღრამატი-...კულ ლაპარაკს. ყველას მიყავს შვილები შკო-...ლებში.

...რატომ მიჰყავთ მათ შვილები შკოლებში? ...იმიტომ რომ ისწავლონ რამე. მერე? მერე იქი-...დან გამოვლენ სწავლულები. მერე? თავს ირ-...ჩენენ. რითი? რითი და სწავლით. ღმერთმაც ..., მაგრამ ვნახოთ.

...ვის არ შეუძლია დამტკიცებით სთქვას, ...შკოლებში ყმაწვილმა ისწავლოს კარგათ ...რომელსამე ენაზე ლაპარაკი, წერა და კითხვა. ...ვის არ შეუძლია სთქვას, რომ იქიდამ გა-...მოსულ ყმაწვილმა იცის რამ საგანი კარგათ. მა-...შასადამე მას არ შეუძლია იქნეს რიგიან მწერ-...ლად, მთარგმნელათ და განსაკუთრებით მას-...წავლებელათ. მაშ ის უნდა შეუდგეს მამა-პა-...პურ ხელობას. მაგრამ საეჭვოა, რომ მას შეე-...ძლოს ამ ხელობის აღსრულება ისე კარგათ, რო-...გორც მისი მამა-პაპა ასრულებდა, რადგანაც მის ...ხელის და პირის აგებულებას მოაკლდა ბევრი ...საჭირო ნივთები შკოლაში ცხოვრების დროს. ...ამისათვის, ჩვენის აზრით, ჩვენში ის შკო-...ლები კი არ არიან საჭირონი, სადაც ასწავ-...ლიან მარტოკა კითხვას, წერას და ლაპარაკს ...ღრამატიკულათ, არამედ ისეთი შკოლები — სა-...დაც ასწავლიან ყმაწვილებს ისეთ რამე ხე-ლობებს, რომ შემდეგ გამოსვლისა შეეძლოს შეგირდს თავისი ცოდნის მოხმარება, როგორც თავათ, აგრეთვე საზოგადოების სასარგებლოდ. ასეთი შკოლები არიან სამეურნეო და სახე-ლოსნო შკოლები.

განსაკუთრებით ჩვენს ხალხს ასეთი შკო-ლები მოუტანენ ორ ნაირს სარგებლობას.

პირველი იმას, რომ იქიდამ გამოსულ შე-გირდს შეუძლია მოიხმაროს თავისი ცოდნა რო-გორც თავისთვის, აგრეთვე საზოგადო სასარ-გებლოდ. მეორე იმას რომ ამ შკოლებში სწავ-ლა მიდის უფრო პრაქტიკულათ, მაშასადამე ყმაწვილებს ისე არ გაუჭირდებათ იმ საგნების გაგება. . . . . . . . . . . . . . .

აი რატომ გაუადვილდება ჩვენებურ ყმა-წვილს ამ რიგათ რუსულ ენაზე სწავლა.

ყოველი სიტყვა გამოხატავს რამე საგანს ანუ აზრს, მაგრამ ამ სიტყვის აზრი ესმის კაცს მხოლოდ მაშინ, როცა მის აზრში იხატება ეს საგანი ნათლად, ისე რომ თითქმის თვალის წინ ედვას და ხელით სინჯავდეს; წინაღმდეგ შემთხვევაში მას არ ესმის იმ სიტყვის აზრი, მაგრამ დამტკიცებულია, რომ სხვა ენაზე კაცს არ შეუძლია წარმოიდგინოს ასე ნათ-ლათ ყოველი აზრი და ამის გამო იმ ენა-ზე ძალიან ძნელია დასაწყისში რიგიანი სწავ-ლის მიღება.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . ასეთი შკოლების დაარ-სებაზე თავოზა ჩვენი საზოგადოების ვალია.

ძალიან ბედნიერება იქნებოდა, რომ ის კერძო პირები, რომელთაც უთავებიათ შკო-ლების დაარსება, მიაქცევდნენ ყურადღებას ჩვენი ხალხის საჭიროებას და იქონიებდნენ სახეში ზემოხსენებულ აზრს.

დ. ჩქოტუა.

1870 წ. ოდესსა.

---

## ქართლიდგან

(„დროების" კორრესპონდენცია)

მოხელეების ამორჩევა ჩვენს სოფლის სა-სამართლოებში იქნება მერმის და არა წელს, როგორც თქვენ იწერებით. მე ვგონებ, რომ ეს ამორჩევა ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცებს ჩვენ, რომ ქართველები იმდენათ დაუდევარნი და მიძინებულნი არიან, რომ ვერ ახერხებენ ენერგიულათ მოჰკიდონ ხელი თავიანთ მატე-რიალურ და ზნეობით გაუმჯობესობასა. წი-ნანდელმა ორმა ამორჩევამ მხოლოთ ის გვიჩვენა რომ ჩვენი ხალხი საზოგადო საქმე-ში ტომობასა და სარწმუნოებას მაგდენათ არ უგდებს ყურს; მაგრამ, საუბედუროთ, ესეც საეჭვოა: ამის დასამტკიცებლათ მოგვყავს ცნობილი ფაკტი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ერთს სოფელში, სადაც მარტო ქართველები, სცხოვრობდენ, მამასახლისათ სომეხი ამოარჩიეს, და სხვა ორს თუ სამს სოფელში, სადაც აგრეთვე უმეტესი ნაწილი ქართველები იყვნენ, ურიები ამოარჩიეს მამა-სახლისებათ. — ჩემი აზრით, ყოველ კორრეს-პონდენტს უნდა ჰქონდეს მიზნათ, რომ მხოლოთ ბეჯითი ფაკტები აცნობოს მკით-ხველებს იმ ქვეყანაზე, რომელზედაც ის იწე-რება; ამიტომაც ზემომოყვანილს გარემო-ებაზე მე ვალდებული ვარ ვსთქვა, რომ ურიებისა და სომხის ამორჩევა იმისაგან კი არ მოხდა, რომ ჩვენი გლეხები ცრუმორწმუ-ნენი არ იყვნენ და რომ იმათ ჰსურდესთ კარგისა და სასარგებლო კაცების ამორჩევა, რა ტომისა და სარწმუნოებისაც იყვნენ ისი-ნი; — არა, ეს მოხდა იმისაგან, რომ გლეხებს არა ჰქონდათ იმდენი გაბედულობა და მხნე-ობა, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ იმ შეძ-ლე პირებისთვის, რომელნიც სცდილობდენ მამასახლისობას და რომელთაც ამ მამასახ-ლისობით შეეძლოთ უიმისოთაც ღარიბი გლე-ხების შევიწროება. რასაკვირველია, ამისთანა საქმე სამწუხაროა, მაგრამ გასაკვირვებელი კი აქ არა არის რა, რადგან ჩვენ ვხედავთ, რომ უფრო მაღალს და განათლებულს საზოგა-დოებაშიაც სრულებით ამისთანა საქმეები მუ-დამ ხდებიან ხოლმე. ამისთანა ცუდი ამორ-ჩევები არის ხოლმე იმის მიზეზი, რომ ჩვე-ნებურ გლეხებს თითქმის დაუწყნარებელი განხეთქილება და ჩივილი აქვთ ერთმანეთში. ამის წინააღმდეგი მაგალითი ოსების და მთი-ულების ცხოვრებიდამ შეგვიძლია მოვიყვანოთ: ისინი, როგორც შემიტყვია, ძალიან ჭკუიანათ და თადარიგიანათ სარგებლობენ თავიანთი ამორჩევითი უფლებითა და ეს უნდა იყოს, უეჭველია, იმის მიზეზი, რომ მთიულეთიდგან და ოსეთიდგან ძალიან ცოტა საჩივრები შე-მოდის გორის მომრიგებელ სასამართლოში.

ამ უკანასკნელ ორ წელს თვით ბუნებაც შემოგვწყრა. შარშანდელი მოუსავლელობის ამბავი მოეხსენება „დროების" მკითხველსა: ამ წელსაც უკეთესი მოსავალი არ იყო; ადრე ბევრს სოფელში კალოობას პური კოდი ოთხ მანეთათა ღირდა, ახლა ქერი სამ მანეთათაც ადვილათ ვერ იშოვება; სიმინდიც ქერის ფა-სათ არის. ამ გაზაფხულს და ზაფხულს იმე-დიანათ ვიყავით, რომ ვენახები მაინც კარგს მოსავალს მოგვცემდნენ, მაგრამ შემოდგო-მის ადრეულმა სიცივემ ყურძენი ძალიან წა-ახთინა და ვისგანაც კი რამ შემიტყვია, ყვე-ლა ჩივის, რომ შარშანდლის მოსავლის ნა-ხევრისოდენა ღვინოზე მეტი არ მოგვივიდო. ეს ყველა მოსავალი მაინც რომ ისევ გლეხ-კაცს ხელში შერჩენოდა, კიდევ კაი იმედი იქნებოდა; მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ეს ასე არ არის, მეტადრე გორის, სუ-რამის და ცხინვალის გარშემო სოფლებში, ესე იგი იმ სოფლებში, რომელნიც სავაჭრო ადგილების ახლოს მდებარებენ. საწყალი და უცოდინარი გლეხები ნისიათ ერთი-სამათ იღებენ დამპალ და წამხდარ საქონელსა, ვი-საც გაჭირება ადგია, და ვის არ ადგია გაჭი-რება, იღებს ფულსა და დიდს სარგებელს აძ-ლევს ფულათ ან მოსავლით. საცა არა თქვა, ყველგან გლეხები თუმანზე სარგებელს ორ კოკა ღვინოს აძლევენ ან რვა ფუთ ხორ-ბალსა. ამ სახით გადაუხდელ ვალებში ცარ-დებიან; ფულის პატრონები კალოობას და სთვლობას ესევიან მოვალესა და მთელი მო-სავალი იმათ მიაქვთ. ერთ პატარა სოფლიდ-გან მარტო ექსმა გორის ვაჭარმა ათას რვა-ასი (ქალაქის) ფუთი ხორბალი გამოიტანა და ახლა სხვებმა რამდენი ქერი და ღვინო გაი-ტანეს ღმერთმა იცის? ამ ვე სოფლის ერთ აშენებულ გლეხს, დიდის სახნავ-სათესის პატ-რონს, ერთი მარცვალი ქერიც არ შერჩა.

გლეხების ამ გვარი მდგომარეობის მიზეზი რომ სავაჭრო ადგილებთან ახლო ყოფნაა; ამას იმითი დავიმტკიცებთ, რომ სავაჭრო ქა-ლაქის და სოფლის მოშორებით მდებარე სო-ფლები უფრო უვალოთა ცხოვრობენ და ისე გაჭირებულებიც არ არიან. სოფელს ხი-დისთავს, როდესაც გორთან ადვილი სავალი გზა არა ჰქონდა და ნავტივებით უნდა გა-სულ-გამოსულიყვნენ და ფოშტის გზა ლიახვ-ზე მოდიოდა, იმ დროებში ხიდისთაველებს ვალები ცოტა ჰქონდათ; რუისელების სული კი გორელებს ხელში ეჭირათ. ახლა რუისი თანდათან თავის გაჭირებულ მდგომარეობიდ-გან გამოდის, და ხიდისთავის თითქმის სუ-ლ ერთიან ვენახები და ზოგი სახნავ-სათესი მიწები გორელებს გირაოთ უჭირავთ და ბევ-რი იმათ საკუთრებაც გამხდარა.

ათასში ერთი მებატონე არ იქნება, რომ ამავე მდგომარეობაში არ იყოს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ვალებს გარდა პრი-კაზის ვალებიც აწევთ, თუნდა რომ სავაჭრო ადგილიდგანაც შორს იყვნენ. ამასვე დაუმა-ტოთ გონივრული მეურნეობის სწავლის უ-ცოდინარობა, უსწავლელობა და ამის გამოთ მიწის მომცემი ღონის მოკლება, მამაპაპური გუთანი და კალო, შენახვა და გადატან-გად-მოტანა მოსავლისა და ეს ყველა რომ შე-გაგონდებათ, მაშინ ადვილათ წარმოიდგენთ ქართლის ხალხის, დიდისა და პატარის ღარი-ბულის და უბადრუკის ცხოვრების მიზეზსა.

ქ. მ.

---

## რაჭიდგან

ამას წინეთ „დროებაში" სწერდით, რომ ტფილისიდამ ბევრი მუშა გადისო; იმათი გა-სვლის მიზეზი, როგორც თქვენვე ამბობდით, იყო ერთის მხრით ის გარემოება, რომ მანდ ამ დროს ხოლერა ჰსუფევდა და მეორე მხრით ის, რომ ზამთარმა მოაწია. თქვენ გეცოდი-ნებათ, რომ უმეტესი ნაწილი მანდაური მუ-შებისა არიან რაჭველები, და მართლაც ბევ-რი იმათგანი ძალიან დათვხოვნილნი დაბრუნ-დენ აქა.

ცალკე ამ ტფილისიდამ დაბრუნებული მუ-შების საშუალობითა, რომელნიც, აქვე ვიტ-ყვი, განათლებულებათ და ქვეყნის ამბების მცოდნეთ მიაჩნიათ აქაურებს, და ცალკე გა-ზეთების მკითხველების საშუალებით, ჩვენ მი-ყრუებულ რაჭამდინაც მოაწია ომის ამბებმა. სულ უბრალო, სოფლის კაცებისაგან გაიგო-ნე მე ომიანობაზე ლაპარაკი და სჯა. რაჭვე-ლები, თუ მოგეხსენებათ, საზოგადოთ ძალი-ან მშვიდობიანი, შრომის მოყვარული და გულ-ლმობიერი ხალხია; მაშ, თქვენ შეგიძ-ლიანთ წარმოიდგინოთ, როგორ მიიღებდენ ისინი ურიცხვი კაცების ამოჟლეტისა და სოფ-ლების დამხობის ამბებს. დამიჯერებთ, ერთი დედა-კაცი ცრემლებს იწმენდდა, როდესაც მომიყვა, რომ ნემეცებს ერთი სოფელი სულ ამოუწყვეტიათ და დედა-კაცები ცეცხლში ჩა-უყრიათო. ერთმა ტფილისში ნამყოფმა მუ-შამ, როდესაც შეიტყო, რომ გარიბალდი მი-სულა საფრანგეთის დასახმარებლათაო, მითხ-რა: „რაკი გარიბალდი მისულა, — აწი ფრან-ცუზებს არა გაუჭირდებათ რა. საზოგადოთ რაჭველებს სრულიად არ უყვართ ომიანობა და სისხლის ღვრა; ზოგიერთებს გული უგრილ-დებათ, როცა შეიტყობენ ხოლმე ამ ომიანო-ბის მართლაც გულის გასაგრილებელს ზოგი-ერთ ამბებსა.

ყველაზე უფრო შესანიშნავი და საგრძნო-ბელი ამბავი ახლა ჩვენთვის ის არის, რომ ბუგეულის ხიდი ჩაიქცა, რომელიც რიონზე იყო გაშენებული და რომელსაც, ქუთაისისკენ მიმავალი კაცი, ვერ ასცილდებოდა. ამ ჟამად ამ ხიდის მაგიერობას შვრებიან რიონზე გა-დებული ფიცრები, რომელზედაც ჯამბაზები-ვით გავდივართ. ყურადღების ღირსია ამ ხიდის აგების ისტორია: მცხოვრებლები დიდი ხანია გრძნობდენ რიონზე ხიდის საჭიროებას, მაგ-რამ მხოლოთ ამ ორი წლის წინეთ მოახერ-ხეს ფულების მოგროვება და შეუდგენ საქ-მეს. მოთავეთ და ინჟინრათაც ერთი პატარა სამსახურის კაცი იყო, რომელმანც მოუყარა თავი ჭკუიან კაცებს და დააწყეს თურმე რჩე-ვა — თუ როგორის პლანით ავაგოთ ხიდიო. იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს გადაწყვიტეს ქუთაისში წასვლა და იქაური ხიდების დათვა-ლიერება. წავიდნენ ქუთაისში. ახედ-დახედეს ხიდებს, რამდონჯერმე გარშემო შემოუარეს, კიდეც გადმოხატეს. მოგეხსენებათ, ჩვენ ღა-რიბი ხალხი ვართ, მერმე გზაც ბარე ოთხმო-ცი ვერსი გახლავთ, კარგა ბლომათ ხარჯი მოუნდებოდათ, — თავის ჯიბიდამ ხომ ვერ და-ხარჯავდა ეს კამისია საზოგადო საქმისათვის. ბოლოს დაბრუნდნენ, მაგრამ ვაი ისეთს დაბ-რუნებას: აკი პლანები დაჰკარგოდათ გზაზე! რა ჰქნან ახლა? კიდევ იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს, როგორც იყო, გამოიწყეს აზრით აშენება ხიდისა. გააშენეს კიდეცა; მაგრამ რო-გორი? ისეთი, რომელსაც ორი წლის შემდეგ გახდა ბრაგვანი და რიონში ტყაპანი გაადინა...

(ს....ის — კორრესპონდენციიდამ)

დ. ონი. 1870, 31 ოქტომბერს.

**ჭოპორტი ანუ პატარა კახეთი.** ყველამ იცის, რომ კახეთი ქებულია თავის ღვინითა; ჩვენ ჭოპორტსაც „პატარა კახეთს“ მისთვის ეძახიან, რომ აქ ძრიელ კარგი ღვინო მოდის, რომლის სასყიდველათ ქალაქელი სირაჯები დაფეთებულნი მოდიან ჩვენში. აქაური კოკა ღვინო, ესე იგი თორმეტი თუნგი, ისყიდება 15 ანუ 16 მანეთათ; ჩვენი სოფლის ღვინოს აქვს ბუნებითი გემო, სასმელად საამური და სიწმინდით მოკამკამე; ეს ღვინო უფრო უკეთესი იქნებოდა, მცხოვრებლებსა ადრე რომ არ ჰკრეფდნენ ყურძენსა, და იცოდნენ იმის რიგიანათ დაყენება. თუმცა არ უვლიან როგორც რიგია ღვინოსა, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ის მით ბევრს არ იკლებს თავის ღირსებასა, როგორც იმის ფასი ამტკიცებს. დაღვინდება თუ არა იქაური მაჭრები, იმ წამსვე მოდიან თფილისელნი და დუშელნი სირაჯები, და სულ ერთიანათ ასაღებენ ღვინოებსა. ასე გამინჯეთ, რომ ხანდისხან თითონ მცხოვრებლებსაც სასყიდლათ გაუჭირდებათ ხოლმე ღვინო გარეშე სოფლებში, როდესაც ვასაძირი დაადგებათ და იძულებულნი არიან მთილი ღვინო გასყიდონ.

ღვინოსთან „პატარა კახეთში“ პურის მოსავალიც კარგი მოდის, რომლისთვისაც ჩვენებური მიწის სინოყიერეს უნდა უმადლოდეთ. ერთი სიტყვით, „პატარა კახეთი“, რაც შეეხება ცხოვრებისთვის უსაჭიროესს საგნებს, იშვიათად გრძნობს ნაკლებობას. პური და ღვინო ხომ უპირველესი საჭიროებაა ყოველი კაცისათვის და ეს ორი საგანი, ღვთით, თითო ეულს ყოველთვის საკმაოთ მოსდის ჭოპორტელებსა.

თვითონ სოფელი—ჭოპორტა, პატარა ფერდოებზე, თავქვე დაშვებითა, გარემოცულია ვენახებითა და პატარ-პატარა ხეხილით სავსე ბაღჩებითა. ერთის მხრით, ამ ბაღჩებისაგან და მეორეს მხრით არაგვის სიოს წყალობით, ჩვენში მშვენიერი ჰაერია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სიბნელე ანუ მთვარიანი ღამე დაიცავს მთელს ბუნებასა, მაშინ მოდის სიო არაგვისა, რომელიც გვერდით ჩამოუდის ჭოპორტას, და ნიავი მინდვრებისა, რომელსაც თან მოაქვს ამ მინდვრის ყვავილთა და ხის ფოთოლთა მშვენიერი სურნელობა. არაგვი, როგორათაც დღე, მაშინაც კიდევ უფრო მიდის მყიფარე ბუზბუტითა, ახლის ქვას ერთი ერთმანეთსა, იმის ხმა მრისხანეთ, თითქო უჯავრდება ვისმეო. მას ზედან დართვით მოდის ვენახებიდგან ხმა ჭოტისა, ტურებისა და ყაყანი ბაყაყებისა. ტურები ჩხავიან თითქო წელში ჯოხი დაუკრამ ვისმეო, მათ ხმას ვადარი კაცის ხმასა, როდესაც მოთქმით მწუხარეობს რაზედმე; დაიწყებს რა ერთი ჩხავილსა, მეორეც მიჰყვება, ასე ჰგონია ბანს ეუბნებაო; შეიქნება ისეთი ყეფა ძაღლებისა, სტვენა მწყემსთა, ჟრიამული ყმაწვილთა და ქოთქოთი ყოველთა ყურის მგდებელთა, რო ჰნახოთ, სწორეთ მეორეთ მოსვლა გეგონებათ. ამ ნაირ კონცერტს მუდამ ღამე გაიგონებ ზაფხულობით და შემოდგომაზე ჩვენში. ტურები მხოლოდ მაშინ დასცხრებიან, როდესაც გაიმსებენ კუჭსა ყურძნითა; მაშინ კი მისწყდება ხმა, და დაალაგდებიან ხოლმე ყოველნი თავიანთ ადგილებსა...

საზოგადოთ რომ ვსთქვათ ჩვენი სოფლის მცხოვრებნი არიან შრომის-მოყვარენი: ზოგიერთ იმათგანს (გლეხებს) ქვითკირის კარგათ გამართული სახლები უდგათ. შესანიშნავია აქაური გლეხების ერთმანერთთან ძმურათ და თანხმობით ცხოვრობა; რასაკვირველია, ზოგიერთებში განხეთქილება აქაც არის, როგორც სხვა სოფლებში ხოლმე, მაგრამ აქ უფრო იშვიათად, ვიდრემ სხვაგან. თითქმის არც ერთი აქაური გლეხი არ დაიზარებს შეეწიოს დაჭირვების დროს მეორე გლეხსა: ერთი მეორეს ეშველება მუშაობაში (ნაცვალს გარდა), დასესხებით და სხ. ჩემი აზრით, კიდეც ამიტომ აქაურები უკეთ სცხოვრებენ, ვიდრემ სხვა სოფლის ხალხნი.

ნათქვამია: კარგი უცუდოთ არ იქნებაო,—შევარდენი კარგიაო, მაგრამ ცუდი ფეხები აქვსო. ასე სჭირს ჩვენ ჭოპორტსაც: ყველაფერ სიკეთესთან ერთი ცუდი ავათმყოფობა იცის ჭოპორტმაც და ეს ავათმყოფობა ხილის სიმრავლის ბრალია: ჩურჩა, პანტა, მაჟალო, მსხალი, ვაშლი, ატამი და კიტრი ესენი მულარლათ მოდის ჩვენს სოფელში და თან ციებ-ცხელებაც მოაქვთ იმათთვის, რომელნიც ბევრსა და დაურიდებლათ სჭამენ იმათა,—მაგრამ მარტო ხილს არ აბრალებენ აქაურები ციებ-ცხელებას: ზოგიერთებისაგან გამიგონია, რომ ეს არაგვის წყალისა და ადგილის მდებარეობისაგან არისო. აქაურები ამბობენ, რომ ადრე უფრო გახშირებული იყო ციებ-ცხელება, და ეხლა კი, რაც წყარო გააკეთეს, მასუკან განელდა, თუმცა კიდევ არის ცოტ-ცოტათაო. წელს ამ მომეტებულმა ხილის ჭამამ და მუცლის უპატრონობამ ციებ-ცხელებაზე უარესი ავათმყოფობა მოგვიტანა ქალაქიდგან. მაგრამ, ღვთის მადლით, ამ ავათმყოფობას ბევრი ზიანი არ მიუცია ჩვენი სოფლისთვის.

მ. იონინი.

# საუბარი მკითხველთან

### I—ნიკო ინაშვილის სიკვდილზე

იულიუს კეისარი რომის ხალხს იმავე ბედს რომ უმზადებდა, როგორიც ეხლა ნაპოლეონმა საფრანგეთს მიაყენა, იმას ერთი საოცარი აზრი დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევდა: როცა თითქმის მთელი ქვეყანა მის ხელში იყო და მის მცირედ სიტყვას და სურვილს კანონად სთვლიდა, თვითონ ამ ყოვლის შემძლებელ კაცს, ამ „ღმერთების ძეს“—რომლის სახელი მთელ ქვეყანას აკანკალებდა—ეშინოდა ერთი გამხდარი, მჭლე კაცის!

— „მე მსურს, ეუბნებოდა ის თავის ძმისწულს, ანტონის, მე მსურს ჩემ გარეშემო მომსხო კაცები მყავდეს, იმისთანა, რომ ღამე კარგა მაგრა ეძინოთ. კასსის მჭლე და დამშეული სახე აქვს. ის ნამეტნათ ფიქრობს. მაგისთანა კაცი საშიშარია...“

და როცა ანტონი პასუხათ ეუბნება, კასსი პატიოსანი და ქველის-მოქმედი რომაელიაო, კეისარი ხელახლავ იწყებს:

— „კარგი იქნებოდა, უფრო მომსხო რომ იყოს... ეხლა კი მე მაგაზე უფრო საშიშარ კაცს არ ვიცნობ: მაგ ბევრს კითხულობს, დამკვირვებელია და კაცის აზრს პირდაპირ ხედავს. მაგ არ მიზდევს სიამოვნებას, ყურს არ უგდებს მუზიკას, იშვიათათ იცინის, მერე იმ სახით, თითქო თავის თავს დასცინოდეს, რათ გავიღიმილეო. მაგისთანა კაცს გული კმაყოფილი არა აქვს... და ამის გამო ის მეტის მეტათ საშიშარია...“

+

მიდი და ნუ დაფიქრდები შენ იმისთანა კაცზე, რომლის მოქმედებას გზასა და კვალს ვერ უპოვნი და რომელიც ახირებულათ ცხოვრობს, ახირებულათ იქცევა და ახირებულათ კვდება.

მართლაც, ახირება ამაზე მეტი იქნება,—გამოდის ახალგაზდა კაცი, ყოველნაირი ნიჭით და ღირსებით შემკული. მის წინ სუფრათ გაფენილია ცხოვრება: მას ელის სიამოვნება, საზოგადოების პატივი, დიდება. იმას ნატვრის, სურვილის მეტი არა სჭირია „ნეტარების“ მოსაპოვებლათ.—მის გვერდით მაღლდებიან და ტკბილათ ცხოვრებენ უნიჭო, ზანტი, მოუხერხებელი პირები. ის ხედავს, რომ სხვაზე უფრო ადვილათ, უფრო ღირსეულათ შეუძლია იმას ცხოვრებაში ხეირიანი ადგილის დაჭერა, ოღონდ კი მოინდომოს და ხელი გაანძრიოს...

მაგრამ, თავის დაუფასებელ ნიჭს და შრომას ის სულ სხვა საქმეს ალევს.—„ის ნამეტნათ ფიქრობს, ბევრს კითხულობს, კაცის აზრს პირდაპირ ხედავს.— რისთვის? ვისთვის?—ვინ იცის. მაგრამ იმას კი ყველა ხედავს, რომ მინამ „სხვები“ „კარგა მაგრა“ ხვრინავენ და მსხვილდებიან, ეს ახირებული კაცი თანდათან უფრო და უფრო მჭლევდება.

+

ახირება ამაზე მეტი იქნება,—მინემ „სხვები“ დამშეული პირით ცხოვრებას ეწაფებიან და თავის საკუთარ სარგებლობას, თავის თავს ღმერთათ იხდიან, ეს ახირებული კაცი ხალხის და საზოგადოების სიკეთეზე ზრუნავს და ღვაწლობს! ის თავის ნიჭს და შრომას იმავე საზოგადოების ბედს ანდომებს, რომელიც იმას,—სამაგიეროთ,—დაცინვით, შეურაცყოფით, გიჟობის და ბოროტების შეწამებით აჯილდოვებს!...

და რაკი ის ერთხელ ამ ახირებულ გზას ადგება, მას ხელის გამწყობის, დამხმარებლის, თანამგრძნობელის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს.—„სხვების“ გზა თავდაპირველიდან გაპირდაპირებული და გატკეპნილია: იმათ გაადვილებული აქვთ იმ ერთი ნამცეცა სწავლის შეძენა, რომელიც მათ საზოგადოების წინ თავ-მოსაწონებლათ სჭირიათ. დროზე თხოვნით, დროზე გაღიმილებით, დროზე თავის დამდაბლებით, ისინი დამხმარეს და „მფარველს“ ადვილათ და ბლომათ პოულობენ. იმათ თვითონ საზოგადოებაც უფრო გულმხურვალეთ უხსნის და უმშრალებს გზას, რომელზედაც ქეიფიანათ, უდარდელათ წაგოგიალდება მათი ცხოვრება...

სულ სხვა ნაირია ახირებული კაცის ბედი: ყოველი ცნობა, ყოველი საშუალება იმან ბრძოლით უნდა მოიპოვოს, ასე რომ მისი სიცოცხლე გაჭირვებულ ბრძოლათ და შრომათ იქცევა. და ამ ბრძოლაში,—როცა იმას მიზნათ *ყველას* სიკეთე აქვს—*ყველა* მის მოწინააღმდეგეთ ხდება.... მაგრამ მის ახირებულ ხასიათს არც ეს გარემოება ასწორებს და მისი სიმჭლევე თანდა-თან მატულობს..

+

ბოლოს, ეს ახირებული კაცი კვდება ახალგაზდა, უპატრონო; და სიკვდილის დროს, ნუგეშის მცემლათ, იმას მხოლოდ ეს აზრი რჩება:

„Милый другъ. я умираю,
Оттого, что былъ я честенъ;
Но за то родному краю
Вѣрно буду я извѣстенъ.“

მაგრამ, ახირებულ კაცს სიკვდილიც ვერ ასწორებს: სინანულის მაგიერათ, ის აი რას ეუბნება თავის მეგობარს:

„Милый другъ, я умираю,
Но спокоенъ я душою,
И тебя благословляю—
Шествуй тою же стезею.“

+

მაგრამ ისეც კი უნდა ვთქვათ, რომ ამ დაბრმავებაში იმათ გარდა ბევრი ჭკვიანი კაცებიც ვარდება. ვინც კაცობრიობის ისტორიას აკვირდება და სწერს, ის მტკიცეთ დარწმუნებულია, რომ ხალხის ბედნიერებას და ძალას მხოლოდ ამისთანა ახირებული კაცები შეადგენენ და მათი ტვინით, მათი გრძნობით ინახავს თავს მთელი საზოგადოება.—„კაცობრიობას ამისთანა ახირებული კაცები რომ არ ყავდეს, ამბობენ ზოგიერთები, მის ცხოვრებაში არც ერთი გაუმჯობესობა არ მოხდებოდა; ის დახავსიანდებოდა, დალპებოდაო.“ ასე გამინჯეთ, ცხოვრების ბინძურობაში და თავის თავზე ზრუნვაში ყელამდი ჩაფლულებიც კი იღვიძებენ ხანდისხან, და მაშინ აი რას ამბობს მათი დაძინებული სინიდისი:

„Погрузился я въ тину нечистую
Мелкихъ помысловъ, мелкихъ страстей...
Отъ ликующихъ, праздно болтающихъ,
Обагряющихъ руки въ крови,
Уведи меня въ станъ погибающихъ
За великое дѣло....“

---

ორი ამისთანა ახირებული კაცი ჩვენც გავისტუმრეთ საიქიოს, ამ მოკლე ხანში. შარშან მარიამობისთვეში მოკვდა პეტერბურგს ბექან ხ ა მ ა შ უ რ ი ძ ე,—რომლის გულში არც ერთჯერ არ გაუვლია არც ერთს მდაბალ გრძნობას... მისი ახალგაზდობა—რომლითაც ჩვენ ხალხს როდესმე თავის მოწონება შეეძლებოდა—სიღარიბესთან ბრძოლაში გაჰქრა. და მის ნახევრამდი წყლით ავსებულ საფლავში გამბედავი, ნიჭიერი და საზოგადოებისთვის თავ-გადადებული გული დაიმარხა...

+

მეორე—ნიკო ინაშვილი—დღესწორ (6 ნოემბერს) მოკვდა თფილისში, სადაც ის ამ ზაფხულს პეტერბურგიდან საექიმოთ ჩამოვიდა. ეს ახალგაზდა, აქაურ სემინარიაში სწავლის დასრულების შემდეგ, კიევის უნივერსიტეტში შევიდა, საიდანაც შარშან პეტერბურგს გადავიდა.—მისი თანამშრომლობა „მნათობში“ კარგათ უნდა ახსოვდეს ჩვენ მკითხველს, აგრეთვე როგორც ზოგიერთი მისი სტატიები „დროებაში“ (სხვათა შორის „ზნეობითი და ესტეტიკური გახსნა“). მაგრამ მკითხველმა არ იცის, რა მხურვალე გულით სურდა ინაშვილს ჩვენი საზოგადოების სიკეთე, და რა ნაირ გაჭირვებაში ემზადებოდა ის—ხამაშურიძესავით—საზოგადოებისთვის სარგებლობის მოსატანათ... მაგრამ, ამ მზადებასაც ისე უდროოთ მოეღო ბოლო, როგორც ხამაშურიძის შრომას: ორივეს ერთნაირი ჭლექი ერია...

მე არ შემიძლია უმჯობესათ გამოვხ მისი გრძნობის და გულის პატიოსნება, მაღალი მიზანი, როგორც მისივე სიტყვ დაბეჭდვით, რომელსაც ის ამ წლის მა მწერდა პეტერბურგიდან:

„ეგენი (ზოგიერთი ყმაწვილები) არიან „ბრმა ნამძლვრები... ხალხისა.“ რა ძალა აქვს მაგათ ტყვას? რამდენათ ღრმა არის მაგათი აზრი? რამ შორს და პირისპირათ გასჭრის საზოგადო საგნებ ნაარსს მაგათი ანალიზი, მაგათი კრიტიკა? რამ ცხოველი და ნაყოფიერია მაგათი მოქმედება? რ ზოგადო იდეალი აქვთ მაგათ დახატული თავში პროგრამმა აქვთ მოქმედებისა? . . . . . . . შენ თითონ მითხარი, მეტყვიან თუ არა ნი ამაზედ პასუხს. ხეირიანათ მაგ საქმეზედ არც იმათგანი არ მომზადებულა, ნიჭითაც ძალიან არ დაჯილდოვებულნი. აი ვინ არიან წარმომადგენ ჩვენი სახალხო აზრისა, აი ვისში გამოიხატება გონებითი მოძრაობა. მდგომარეობა მეტათ სამწუ და საგრძნობელია. პატიოსან და მოაზრე კაცს აქვს მიაქციოს ამაზედ ყურადღება, ვალი აქვს გ ნოს ჩვენ ახალი გზა და ახალი ნათელი შეიტანოს ცხოვრებაში. რატომ არ უნდა დაღონდეს კაცი, ჰხედავს, რომ კაცი დიდი ენერგიის და ნიჭის პატ უმოქმედო და უაზრო ცხოვრებას მისცემია? კერძ რი არაფერიაო, კერძო პირი დამოკიდებულიაო სა დო გარემოებაზედ,—ამბობენ. ეს მართალია. მ მაინც და მაინც კერძო პირსაც ბევრი რამ შეუძ კერძო პირსაც ემართება ბრძოლა უმეცრებასთან, დაც ამ ბრძოლაში დაიღუპოს. მაშასადამე, ვიმოქმედ

+

ყოველთვის, როცა ამ ნაირ ახალგაზდ ბედს ვაკვირდები, მე—ისინი კი არა—ჩ საზოგადოება მებრალება, რომელიც გა ბილათ, უგრძნობელათ უმჯობეს თავის დიდრეს კარგავს და ალტაცებით გულში ქვას იხუტებს.—მოდი და ნუ გაიხსენებ შილლერის სიტყვებს:

Скольких славныхъ жизнь поблекла,
Скольких низкихъ рокъ щадитъ!...

ნ. სკანდ

---

# ნარევი

*
* *

მკითხველმა იცის, რომ ბრძოლაში დაჭრი მოსავლელათ, სახელმწიფო ლაზარეთებს გარდა, სხვა და სხვა კერძო საზოგადოებ ერთს ამ ნაირ საზოგადოებას, რომელიც პრუსიამ ლალ საზოგადოებას გაუმართია, სახელათ „იოანი ორდენი“ ჰქვია. „კელნის (პრუსიელი) გაზეთის ტყვით, ამ საზოგადოებაში წევრათ თურმე მარტო თანა პირებს იღებდენ, რომელნიც დიდი ოჯახის ლები იყვნენ; წევრათ კაცსაც შეეძლო ჩარიცხუ და ქალსაც.—ამ საზოგადოებამ ყველაზე უფრო იანი“ და ლაზათიანი ლაზარეთები გააწყო, მაგ დაჭრილები, რომელნიც მის წევრებს ჩაბარებუ დათ მეტის მეტათ ემდურებოდენ თავიანთ მო ისე რომ ბოლოს პირდაპირაც ჩივილი დაიწყ იოანიტების ორდენის წევრები ჩვენ კი არ გვ ერთმანერთის კურკურობას უნდებიანო.—რაკი ვილი გაზეთებში დაიბეჭდა, იოანიტების საზოგა წევრებმა ლაზარეთები მიატოვეს და მათმა უფრ ვისი მხრით დაბეჭდა, ეს ტყული ხმებიაო. ამ ვევამ ერთი გამოჩენილი მწერალი, ფ. ლერშტ აიძულა, დაწვრილებით გამოეხატა იოანიტების ციელო უფუ-ქცევა. ეს მწერალი ამტკიცებს, რო ჭრილებს საშინლათ იმათ იოანიტების საზოგად ხელიდან გათავისუფლებაო.

*
* *

ბავარიაში დაუმზადებიათ ფიცრის სახლები, რომ მათი დაშლა, გადატან-გადმოტანა და ხელ დადგმა ადვილათ შეიძლებოდეს. ამ სახლებს გეთში გზავნიან იმ ჯარისთვის, რომელიც ეხლ რიჟს გარეშემო არტყია.

---

# განცხადება

თ. რ. დ. ერისთავი აცნობ იმ პირთა, რომელთაც აქვსთ ანუ ნებათ, საქმეები ქუთაისის გუბერნი ყოველ გვარ სასამართლოებში, რომ კისრულობს სამოქალაქო და სისხლ სამართლის საქმეებსა და ამ საქმეებ ზემოხსენებულ სასამართლოებში დ ცვასა.

მსურველს შეუძლია მიმართოს— ლაზე უფ. დარახველიძის სახლებში.

თ. რაფიელ დავითის ძე ერისთა

გამოვიდა და ისყიდება „მნათობის“ ქციაში და ალადათოვის მაღაზიაში „შვების მოვლა“—თხუზულება ძომბ რგმნილი ვას. მაჩაბლისაგან. ფასი ითი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Ноября 1870 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი